



# ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორჭიას მემორიალი 2017



დ ე ბ უ ლ ე ბ ა



### 1. მეორილი მიზნად ისახავს:

- საქართველოში კალათბურთის განვითარებას და პოპულარიზაციას
- მეორილი წარმოადგენს ჩემპიონატის ერთ-ერთ ეტაპს და მიზნად ისახავს კლუბების სათამაშო კლასის ამაღლებას;

### 2. მეორილის ხელმძღვანელობა:

მეორილს ორგანიზებას და ჩატარებას ხელმძღვანელობს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია (შემდგომში “ს.კ.ე.ფ”) საშეჯიბრო დეპარტამენტის მეშვეობით. თამაშები ტარდება „კალათბურთის ოფიციალური წესების” და წინამდებარე დებულების თანახმად.

### 3. მეორილის ჩატარების დრო და ადგილი:

მეორილის თამაშები ჩატარდება მიმდინარე წლის 14 იანვრიდან 18 იანვრის ჩათვლით ჯგუფური ეტაპის თამაშები ჩატარდება ქ. ქუთაისში, ზურაბ საკანდელიძის და მიხეილ ქორქიას სახელობის სპორტის სასახლეში.

### 4. მეორიალში მონაწილე გუნდები, ჩატარების სისტემა.

4.1. მეორიალში მონაწილეობას მიიღებს სუპერლიგის 5 გუნდი და ა-ლიგის 3 გუნდი რომლებიც 2 ჯგუფში გადანაწილდნენ.

#### ა-ჯგუფი

1. ქუთაისი
2. სოხუმი
3. სეუ
4. წყალტუბო

#### ბ-ჯგუფი

1. რუსთავი
2. კაკტუსი
3. მეზავრები
4. არენა

გუნდები ჯგუფებში ითამაშებენ ერთ წრედ. ჯგუფებში პირველ ადგილზე გასული გუნდები ერთმანეთში გაითამაშებენ 1-2 ადგილებს,

4.2. გამარჯვებისათვის გუნდს ერიცხება ორი ქულა, წაგებისათვის ერთი ქულა,

თუ ორი ან რამდენიმე გუნდი დააგროვებს ქულათა თანაბარ რაოდენობას, უპირატესობა ენიჭება გუნდს, რომელსაც ექნება მოგება პირად შეხვედრაში. თუ ქულები თანაბარია, სამ ან ოთხივე გუნდში, უპირატესობა ენიჭება გუნდს, რომელსაც ჩაგდებული და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა ექნება პირად შეხვედრებში

### 5. მეორილის რეგულაციები.

5.1. მოთამაშეები, მწვრთნელები და თანმხლები პირები (12 მოთამაშე, 3(სამი) მწვრთნელი და 3(სამი) სამედიცინო პერსონალი) დაიშვებიან სუპერლიგის და ა-ლიგის 2016-2017 სეზონის განაცხადის მიხედვით.

5.2. ყოველ თამაშში მონაწილეობის უფლება აქვს მხოლოდ ოქმში შეყვანილ მოთამაშეებს (12 კაცი), მაგრამ არაუმცირეს 10 მოთამაშისა.

5.3. სუპერლიგის 2016-2017 წლებში მონაწილე გუნდების მოთამაშეები, რომლებსაც დაუმთავრდათ ან შეუწყდა კონტრაქტი ძველ კლუბთან და არ არიან შეყვანილი ახალი კლუბის საერთო განაცხადში ასეთმა მოთამაშეებმა უნდა წარმოადგინონ ძველი კლუბისგან განთავისუფლების ფურცელი ახალ კლუბს არ ეკარგება ადგილი საერთო 16-კაციან განაცხადში.

5.4 საზღვარგარეთის კლუბებში რეგისტრირებული უცხო ქვეყნის მოთამაშე ან საქართველოს მოქალაქეობის მქონე მოთამაშე, იმ პირობით რომ მას დაუმთავრდა ან შეუწყდა კონტრაქტი ძველ კლუბთან და არ არის შეყვანილი მეორიალში მონაწილე კლუბის საერთო განაცხადში, ამ შემთხვევაში ახალ კლუბს არ ეკარგება ადგილი საერთო 16-კაციან განაცხადში.

5.5 მოთამაშეს რომელიც შეყვანილია სუპერლიგის ერთი კლუბის საერთო განაცხადში და აკავშირებს მასთან მოქმედი კონტრაქტი, არ აქვს უფლება ითამაშოს მეორიალში მონაწილე მორე გუნდის შემადგენლობაში.

5.6. ყოველ გუნდს უნდა ჰქონდეს ორი ფერის სპორტული ფორმა (ღია და მუქი), ასევე მოთამაშეთა მაისურებზე დასაშვებია ნომრები 00, 0-დან 99-მდე, ხოლო გვარი ქართული შრიფტით (უცხო ენაზე – “ს.კ.ე.ფ”-თან შეთანხმების შემთხვევაში).

## 6. დისციპლინარული დარღვევები:

დისციპლინარული სასჯელის ზომას დებულებით დადგენილ ფარგლებში განსაზღვრავს “სადისციპლინო ტექნიკური კომისია”

გუნდის წარმომადგენლებს: მოთამაშეებს, მწვრთნელებს, მწვრთნელთა თანაშემწეებს, სამედიცინო პერსონალს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ქცევის წესების დაცვაზე მატჩამდე, მატჩის მსვლელობისას და მატჩის დამთავრების შემდეგ. წესების დარღვევისათვის დადგენილია შემდეგი სასჯელები:

6.1 შეურაცხყოფა სიტყვით ან ჟესტით:

6.1.1 მსაჯების, კომისრის, მსაჯ-მდივნების, მეტოქის, მაყურებლის, თანაგუნდელის მიმართ, გუნდის წარმომადგენლები ერთმანეთის მიმართ – ჯარიმა 200(ორასი)-დან 500 (ხუთასი) ლარის ფარგლებში და დისკვალიფიკაცია 2(ორი) –დან 4(ოთხი) თამაშამდე.

6.2 ფიზიკური შეურაცხყოფისთვის:

6.2.1 მსაჯების, კომისრის, მსაჯ-მდივნების მიმართ – ჯარიმა 800 (რვაასი)-დან 1500 (ათასხუთასი) ლარის ფარგლებში და დისკვალიფიკაცია 5(ხუთი)-დან 10(ათი) თამაშამდე.

6.2.2 მეტოქის, მაყურებლის, თანაგუნდელის მიმართ, გუნდის წარმომადგენლები ერთმანეთის მიმართ – ჯარიმა 500(ხუთასი)-დან 800(რვაასი) ლარის ფარგლებში და დისკვალიფიკაცია მინიმუმ 5(ხუთი)თამაშამდე.

6.3 იმ შემთხვევაში, თუკი გუნდი არ გამოცხადდება ან უარს იტყვის ნებისმიერი ეტაპის ცალკეულ თამაშზე ან თამაშის გაგრძელებაზე:

- გუნდი ავტომატურად იხსნება ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალური ტურნირიდან და ჯარიმდება 3500 (სამათას ხუთასი) ლარით.

6.4 გუნდის ოფიციალური პირების (გუნდის ხელმძღვანელობა, მენეჯერი) არასპორტული ქცევა:

6.4.1 მუქარა, დაშინება ან არასპორტული ქცევა მეტოქის, მაყურებლის, მსაჯების, კომისრის ან მსაჯ-მდივანთა მიმართ – ჯარიმა 1000 (ათასი)ლარი.

6.4.1 ტურნირის განმავლობაში იგივე დარღვევის განმეორებისათვის ჯარიმა 2000 (ორიათასი) ლარი.

6.5 თუ პიროვნება რომელზეც უნდა გავრცელდეს ზემოთმოყვანილი სანქციები წარმოდგენილია ს.კ.ე.ფ.-ის ასაკობრივ ჩემპიონატებში, სუპერლიგაში, მასზე ვრცელდება 2(ორი) თამაშის დისკვალიფიკაცია იმ ასაკობრივ ჩემპიონატში სადაც არის წარმოდგენილი.

6.6 დისციპლინური დარღვევის შემთხვევები და მათ გამო გასატარებელი სასჯელები, რომლებიც არ არის მოყვანილი ამ დებულებაში, განიხილება ს.კ.ე.ფ-ს “სადისციპლინო-ტექნიკური კომისიის” მიერ.

6.7 განსაკუთრებულ შემთხვევაში ს.კ.ე.ფ-ს სადისციპლინო-ტექნიკური კომისია უფლებამოსილია, თავის შეხედულებისამებრ, გაზარდოს სასჯელი დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით.

6.8 გუნდის წევრებისათვის დაკისრებული, დებულებით გათვალისწინებული, ყველა სახის ჯარიმების გადახდა უნდა მოხდეს მომდენო თამაშამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში თამაშის კომისარს ეკრძალება მათი დაშვება მომდენო თამაშზე.

6.9 ზემოხსენებული ჯარიმების არადროულად გადახდაზე მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება გუნდის (კლუბის) ხელმძღვანელობას.

## 7. ფინანსები:

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია გაიღებს შემდეგ ხარჯებს:

- მსაჯთა ბრიგადის მიერ თამაშების მომსახურებას;
  - გუნდების და საორგანიზაციო ჯგუფის ტრანსპორტირების ხარჯებს;
  - მემორიალური ტურნირის მწვრთნელებისა და მოთამაშეების დაჯილდოვების ხარჯებს (თასი, სიგელები, მედლები), ასევე ტურნირის დროს გამართული სხვადასხვა საშეჯიბრო კონკურსის მონაწილეების სამახსოვრო სუვენირების გადაცემის ხარჯებს.
  - მემორიალური ტურნირისთვის საჭირო პოლიგრაფიულ ხარჯებს (ბანერები, სტიკერი)
- ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია გაიღებს შემდეგ ხარჯებს:
- სპორტული დარბაზის იჯარის;
  - ქ. ქუთაისში მემორიალში მონაწილე გუნდების, საორგანიზაციო ჯგუფის წევრების და მსაჯთა ბრიგადის სასტუმროში დაბინავების და კვების ხარჯებს;

## 8. პროტესტი

8.1. პროტესტი “ს.კ.ე.ფ.”-ში შედის წერილობითი ფორმით და „კალათბურთის ოფიციალურ წესებში”

ჩამოყალიბებული პროცედურების დაცვით.

8.2. პროტესტის შემოძღვანი გუნდი იხდის წინასწარ თანხას 100 (ასი) ლარის ოდენობით. პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში წინასწარ გადახდილი თანხა უბრუნდება გუნდს.

8.3. გუნდის პროტესტის განხილვის პირველ ინსტანციას წარმოადგენს “ს.კ.ე.ფ.”-ს საშეჯიბრო ლეპარტამენტი..

8.4. თუ გუნდი არ ეთანხმება პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას, პროტესტს განიხილავს “ს.კ.ე.ფ.”-ს გამგეობა. ამ შემთხვევაში წინასწარ გადახდილი თანხის რაოდენობა იზრდება 200 (ორასი) ლარამდე.

პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში წინასწარ გადახდილი თანხა უბრუნდება გუნდს.

## 9. დაჯილდოება

მემორიალზე გამარჯვებული გუნდი ჯილდოვდება ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას სახელობის გარდამავალი თასით.

მემორიალის საუკეთესო მოთამაშეები ჯილდოვდებიან სამახსოვრო პრიზებით.